

არასამთავრობო ორგანიზაციები საყდრისთან დაკავშირებით, კულტურის სამინისტროს მიმართავენ

არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საყდრისთან დაკავშირებით მიმართავენ.

როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, კულტურის სამინისტროს საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობის შესახებ კულტურის სამინისტროს მცირე განცხადებაში აღნიშნული გარემოებები კიდევ უფრო მეტ კითხვას აჩენს.



არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მოუწოდებენ, რომ დაუყოვნებლივ, პროაქტიულად გამოაქვეყნოს საკუთარ ვებგვერდზე საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული ის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შპს „RMG Gold“-ს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე შესაბამისი სამუშაოების წარმოების უფლება მისცეს.

“როგორც ცნობილია მიმდინარე წლის 14 მარტს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, სამინისტრომ შპს „RMG Gold“-ს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე შესაბამისი სამუშაოების წარმოების უფლება მისცა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არ გაუსაჯაროვებია მიღებული გადაწყვეტილება და მხოლოდ სამინისტროს ვებგვერდზე გავრცელებული მცირე განცხადებით შემოიფარგლა. ამასთან, განცხადებაში აღნიშნული გარემოებები კიდევ უფრო მეტ კითხვას აჩენს, საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობის შესახებ. შესაბამისად, განცხადების ხელმოწერილი ორგანიზაციები მოვუწოდებთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომ უადრესად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ, პროაქტიულად გამოაქვეყნოს საკუთარ ვებგვერდზე საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული ის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შპს „RMG Gold“-ს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე შესაბამისი სამუშაოების წარმოების უფლება მისცა. ასევე, გამოაქვეყნოს ყველა ის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც სამინისტროს მხრიდან გადაწყვეტილების მიღების საფუძველად იქნა გამოყენებული”,-ნათქვამია საია-ს განცხადებაში, რომელსაც ხელს 4 არასამთავრობო ორგანიზაცია აწერს: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მწვანე ალტერნატივა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).

შეგახსენებთ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, შპს „RMG Gold“-ს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე შესაბამისი სამუშაოების წარმოების უფლება მიეცა.

შეცდომის პოვნის შემთხვევაში დააჭირეთ **Shift + Enter** ან [დააწკაპუნეთ აქ](#) და გააგზავნეთ ინფორმაცია.